

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სსიპ “დანაშაულის პრევენციის ცენტრი”

ჩვენ შესახებ


საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ “დანაშაულის პრევენციის ცენტრი” 2012 წელს შეიქმნა. დანაშაულის პრევენციის ცენტრის მისია საქართველოში დანაშაულის განმეორების თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციისთვის ღონისძიებების გატარება.

ცენტრის მუშაობის ძირითადი პროგრამები და მიმართულებები:

- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა, ცენტრის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პროგრამის ფარგლებში, სხვა მომსახურებებთან ერთად, ხდება ყოფილ პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება, პროფესიული გადამზადება და პროგრამის წარმატებული მონაწილეების დასაქმების ხელშეწყობა;
- არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის მართვა და განვითარება;
- დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან მუშაობა, არსებული პროგრამების ფარგლებში გადამისამართების სისტემის შემუშავება და შესაბამისი დახმარების აღმოჩენა;
- პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება;
- იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის განვითარება და ადმინისტრირება, რაც მიზნად ისახავს ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ზოგადად, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სამინისტროს მიერ დასახული ამოცანების შესრულებას;
- დანაშაულის პრევენციის მიმართულებით კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

დანაშაულის პრევენციის ცენტრი შედგება 7 სამმართველოსგან, სადაც დასაქმებულია 54 შტატისანი და 18 შტატგარეშე თანამშრომელი.

ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა



ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, 2012 წლის ბოლოს შეიქმნა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა. ეს არის პირველი სახელმწიფო პროგრამა ყოფილ პატიმართა დასახმარებლად. მისი მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

რეაბილიტირებული ყოფილი პატიმარი ნიშნავს საზოგადოების დაცვას განმეორებითი დანაშაულისგან და ქვეყნისათვის სრულფასოვანი მოქალაქის დაბრუნებას!

2013 - 2014 წლების მონაცემებით დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეხვდნენ 2400-ზე მეტ მსჯავრდებულს;

- განთავისუფლების შემდეგ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას მომართა 1342 ყოფილმა პატიმარმა;
- აღნიშნული მომართვებიდან პროგრამაში აქტიურად ჩაერთო 917 ბენეფიციარი;

ბენეფიციარებს დაუკმაყოფილდათ შემდეგი საჭიროებები:

- 268 ბენეფიციარს გაეწია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დახმარება (გამოკვლევა-დიაგნოსტიკა, ოპერაცია, სტომატოლოგიური მომსახურება, უფასო მედიკამენტები);
- 6 ბენეფიციარი უზრუნველყოფილია თავშესაფრით;
- 185 ბენეფიციარმა მიიღო უფასო იურიდიული კონსულტაცია;
- 148 ბენეფიციარს ჰქონდა ფსიქოლოგის ჩართულობის საჭიროება. პირველ ეტაპზე გადამისამართდნენ ცენტრის ფსიქოლოგთან, ხოლო ფსიქოლოგის მუშაობის პარალელურად ნაწილი მათგანი გადის რეაბილიტაციის კურსს პარტნიორ ორგანიზაციებში;
- 48 ბენეფიციარი ჩაერთო ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსში, დაგეგმილია დამატებითი რაოდენობის ბენეფიციარის ჩართვა;
- 142 ბენეფიციარმა გაიარა უფასო პროფესიული გადამზადების კურსი;
- 91 ბენეფიციარი ჩაერთო სოციალური უნარების განვითარების ტრენინგ კურსში;
- 44 ბენეფიციარმა გაიარა მცირე ბიზნესის წარმოებისთვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების ტრენინგი; გაეწია დახმარება ბიზნეს გეგმის შედგენაში;
- 5 ბენეფიციარს, იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაუფინანსდა ბიზნეს იდეა, თითოეულს 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;
- 15 ბენეფიციარმა, იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, გაიარა 3 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება სხვადასხვა ორგანიზაციაში, თვეში 150 ლარის ოდენობით;
- 10-მა ყოფილმა მსჯავრდებულმა გაიარა მართვის მოწმობისთვის მოსამზადებელი კურსები;
- 34 ბენეფიციარმა გაიარა დასაქმების ადგილის ძიების საბაზისო უნარების ტრენინგი;

- დასაქმდა პროგრამაში ჩართული 143 ბენეფიციარი;

პროგრამაში ყოფილი პატიმრების ჩართულობა ნებაყოფლობითია. ყოფილ პატიმრებთან მუშაობა ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, მათი პატიმრობის პერიოდიდან იწყება. დაწესებულებაში დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკი ხვდება იმ პატიმრებს, რომლებიც 1-3 თვის პერიოდში ტოვებენ დაწესებულებას. ხდება მათთვის ინფორმაციის მიწოდება პროგრამისა და სერვისების შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ხდება ოჯახის წევრების კონსულტირება, რათა მომზადებული დახვდნენ ყოფილი პატიმრის დაბრუნებას. მომართვის შემდეგ თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალურად მუშაობს სოციალური მუშაკი, რომელიც მისი საქმის პირადი მენეჯერია. მომართვის შემდეგ, ხდება ბენეფიციარის მდგომარეობისა და საჭიროებების შეფასება, რომელიც მოიცავს მინიმუმ ორ შეხვედრას ყოფილ მსჯავრდებულთან და, მინიმუმ, ერთ ვიზიტს ოჯახში.

შეფასების დასკვნის შემდეგ, დგება რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა (არასრულწლოვანის შემთხვევაში, ერთვება კანონიერი წარმომადგენელიც). სოციალური მუშაკი ყოფილ პატიმარს, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, რთავს პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა სერვისებში.

რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმის დასრულებამდე სოციალური მუშაკი აგრძელებს ყოფილ პატიმარსა და მის ოჯახთან მუშაობას. ასევე, ახორციელებს მონიტორინგს სერვისებში მის ჩართულობასთან დაკავშირებით.

პროგრამაში ჩართულ ყოფილ პატიმართათვის მისაწოდებელი ძირითადი სერვისები:

- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება;
- სოციალური უნარების ამაღლება, ბრაზის მართვა და სხვა;
- პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა;
- არაფორმალური განათლება/ ტრეინინგები;
- ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრთან მუშაობა;
- იურიდიული დახმარება;

24 საათიან რეჟიმში მოქმედებს პროგრამის ცხელი ხაზი: 2 145 145

ჩვენ ვეხმარებით ცხოვრების სცენარის შეცვლაში!

65 არასრულწლოვანი ჩაერთო ტატუს მოშორების პროექტში

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივითა და „UNICEF“-ის ფინანსური მხარდაჭერით, დანამაულის პრევენციის ცენტრი არასრულწლოვან ყოფილ მსჯავრდებულებს სხეულიდან ტატუირების მოცილებაში ეხმარება. პროგრამის მიზანია, არასრულწლოვან ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და იმ დაღისაგან გათავისუფლება, რომელიც მათ მომავალში ციხეში ყოფნის პერიოდს გაახსენებთ.

არასრულწლოვანი ყოფილი მსჯავრდებულების შემთხვევაში ხშირია სხეულზე ტატუირება, რომელიც მათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში გაიკეთეს. გათავისუფლების შემდეგ სხეულზე გაკეთებული სვირინგები მათ ხელს უშლით საზოგადოებაში ინტეგრაციაში, უჭირთ სამუშაოს მოძიება, არიან ნაკლებად თავდაჯერებულნი, განიცდიან დისკომფორტს. პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

კონკურსი ჟურნალისტებისთვის

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ეფექტურობის გაზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედია. სწორედ ამიტომ, პროგრამის პოპულარიზაციისათვის მედიის წარმომადგენლებისთვის კონკურსი ჩატარდა.

- ნომინაციაში „საუკეთესო სტატია ბეჭდურ / ონლაინ მედიაში“ პრიზი ერგო რადიო „თავისუფლებას“ (ეკა ქევანიშვილი, გიორგი გოგუა).
- ნომინაციაში „საუკეთესო ვიდეო რეპორტაჟი“ გამარჯვებული გახდა საინფორმაციო პორტალის „ინფო9“-ის სპეცრეპორტაჟების ჯგუფი (ელენე ცინცაძე, ეკა მელიქიძე, ნინო ჭანია).
- ნომინაციაში „საუკეთესო რადიო რეპორტაჟი“ გამარჯვებული გახდა რადიო „იმედი“ (თამარ აბრამიშვილი).

.....

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

განრიდება მსჯავრის ნაცვლად – ნაკლები არასრულწლოვანი ციხეში!

რას ნიშნავს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა?

2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა (გარკვეული კატეგორიის) დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია იგი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ცვლილებები

2014 წლის 13 ნოემბერს, ამოქმედდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. ცვლილებების მიზანია, პროგრამის დაახლოება ადდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებთან, კერძოდ:

- პროკურორს გაუჩნდა შესაძლებლობა განარიდოს არასრულწლოვანი, არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის;
- გაიზარდა მედიატორის როლი განრიდების პროცესში. პროკურორის მიერ, არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მედიატორი შეხვედბა დაზარალებულს და აუხსნის პროგრამის არსს და შესთავაზებს მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღებას;
- მნიშვნელოვნად დაიხვეწა განრიდებისა და მედიაციის პროცედურული საკითხები.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს 2012 წლიდან ახორციელებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს. ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წლის დეკემბრიდან პროგრამა გავრცელდა კიდევ ორ ქალაქში: გორში და სამტრედიიაში. 2012 წელს პროგრამას დაემატა 9 ქალაქი: მცხეთა, გარდაბანი, კასპი, ბაღდათი, წყალტუბო, ტყიბული, ვანი, ხონი და ქობულეთი. 2013 წელს კი პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდა.

პროგრამის სრული შედეგები:

- 2010 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით განრიდებულ იქნა 731 არასრულწლოვანი;
- 731 განრიდებულიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 61-მა, რაც 8%-ზე ნაკლებია; (საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, 20 %-ზე ნაკლები რეციდივი კარგ მაჩვენებლად ითვლება)
- 731 განრიდებულიდან 151 არასრულწლოვანი ჩართული იქნა მედიაციის პროცესში და შედგა 106 მედიაციის საერთო შეხვედრა (მათ შორის იყო როგორც ჯგუფური მედიაცია, ასევე ინდივიდუალური);

„არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა - 4 წლის შედეგები - გზა მომავლისკენ“ - ამ სახელწოდებით, მედიაციის სახლში არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 4 წლის შედეგების შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაზე პროგრამაში ჩართული წარმატებული პროფესიონალების მედიატორების, პროკურორებისა და სოციალური მუშაკების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

სრული სტატისტიკა

წელი	განრიდებულთა რაოდენობა	დაზარალებული	მედიაცია შედგა
2010	2	2	2
2011	80	39	28
2012	124	98	44
2013	333	203	51
2014 (10 დეკემბრამდე)	192	185	30

განრიდებული არასრულწლოვანის მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი დაბალია, რაც წინაპირობაა იმისა, რომ საზოგადოებამ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების გამოყენებით, პროგრამა საშუალებას აძლევს არა მხოლოდ დაზარალებულს, არამედ მთლიანად საზოგადოებას - ჩაერთოს დანაშაულის შედეგების გამოსწორების პროცესში.

თბილისში მედიაციის სახლი გაიხსნა

მედიაციის სახლში განთავსდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორი სამმართველო, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასა და მედიაციის სხვადასხვა მიმართულების განვითარებაზე იმუშავენ. ახალი შენობის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მედიაციის გაფართოება გადაწყვიტა. ამოქმედდა სპეციალური პროგრამები იმ მოზარდებისთვის, რომლებსაც არ ჩაუდენიათ დანაშაული, მაგრამ ხასიათდებიან ანტისოციალური ქცევით და მათი მხრიდან კანონდარღვევის რისკი მაღალია. მათთვის მუშაობს ახალგაზრდული ცენტრი, სადაც არასრულწლოვნებს დროის საინტერესოდ და ნაყოფიერად გატარების საშუალება აქვთ.

მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ცოტნე დადიანის ქ. №34.

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია - რისკფაქტორების მატარებელი არასრულწლოვნები

დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოს თანამშრომლებით დაკომპლექტება 2014 წლის ივლისში დასრულდა. სხვებთან ერთად აქ მუშაობს ორი ახალგაზრდული მუშაკი, რითიც ხელი ეწყობა საქართველოში ამ ახალი პროფესიის განვითარებას. რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად შემუშავებულია 13 ტრენინგმოდული და ბენეფიციართა შეფასების ინსტრუმენტი. სამმართველოში მიმდინარეობს ეფექტური რევერიების მექანიზმის აწყობა.

„ახალგაზრდული კლუბი“

დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველო ახორცილებს პროგრამას „ახალგაზრდული კლუბი“. კლუბში შექმნილია ბავშვისადმი კეთილგანწყობილი სივრცე, რომელიც ეხმარება მოზარდს თავისუფალი დროის ნაყოფიერად და საინტერესოდ გატარებაში.

ახალგაზრდული კლუბის *მისიას* დანაშაულის თავიდან არიდება და ჯანსაღი საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ჩვენი *მიზანია* ახალგაზრდულმა კლუბმა ჩაანაცვლოს ქუჩა, უფრო მეტიც, მოზარდების ენერჯია და პოტენციალი სასარგებლო აქტივობებისკენ მივმართოთ. პროგრამა მუშაობს არასრულწლოვნებთან, რომლებიც გამოირჩევიან დანაშაულის ჩადენის რისკის შემცველი (დელიქვენტური) ქცევით.

ახალგაზრდული კლუბის ფარგლებში 2014 წელს განხორციელებული ღონისძიებები:

- „ადამიანის უფლებათა თვე“ - კლუბმა განახორციელა ინტენსიური პროექტი „ადამიანის უფლებათა თვე“, რომლის ფარგლებშიც დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს ჩაუტარდათ ტრენინგები და განხორციელდა შემეცნებითი ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში. 14-დან 16 წლამდე მოზარდები გაეცნენ ადამიანის უფლებებს;
- **"მხიარული ექსკურსია" ორბეთში**
ცენტრის ორგანიზებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთში "მხიარული ექსკურსია" მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში, 14-დან 18 წლამდე 50 მოზარდი სპორტულ შეჯიბრებებში ჩაერთო. "მხიარულ ექსკურსიაში" თანატოლებთან ერთად სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები, ყოფილი პატიმრების შვილები და ბავშვთა სახლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ;
- **საახალწლო მიღება მცირეწლოვანი ბენეფიციარებისთვის**
სპეციალურად მცირეწლოვანი სტუმრებისთვის საახალწლო აქსესუარებით მოეწყო დარბაზი. მედიაციის სახლი ერთი დღით ზღაპრულ სამყაროს დაემსგავსა. ღონისძიების დასრულების შემდეგ პატარებს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.
- **მხიარულთა და საზრიანთა კლუბი**
ცენტრმა თბილისის ნაძალადევის რაიონის სკოლის მოსწავლეებისთვის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შეჯიბრი ჩაატარა. რეპეტიციები დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიაციის სახლში რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. დასკვნითი ღონისძიება სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავება

დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდ „UNICEF“-ის ორგანიზებით, 2014 წლის 18 სექტემბრიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრები „უწყებათაშორისი კოორდინაცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის". შეხვედრების მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი უწყება იუსტიციის სამინისტროა. პრევენციის პროგრამები აქცენტს აკეთებს არა სადამსჯელო ღონისძიებებზე, არამედ ხელს უწყობს მოზარდის ინდივიდუალურ განვითარებას.

.....

დანაშაულის პირველი დონის პრევენცია

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის სამმართველო უზრუნველყოფს ახალგაზრდებში დანაშაულის ადრეულ, ზოგად პრევენციას. სამმართველო სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით მუშაობს. ესენია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია
- მოხალისეობის განვითარება
- სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

სამმართველოს სამიზნე ჯგუფია 14-დან 21 წლამდე ასაკის ყველა ახალგაზრდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამმართველოს ფარგლებში ხორციელდება პროგრამა „ლიდერთა სახლი“, პროექტი „წერილები ჯარისკაცებს“, „ერთ დღე იუსტიციის სახლის თანამშრომლად“ და სხვა.

- **ოლიმპიადა - „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია“**

ოლიმპიადაში დანაშაულის პრევენციის ცენტრის ახალგაზრდული პროგრამის „ლიდერთა სახლის“ 20 აქტიური მოსწავლე მონაწილეობდა. გამარჯვებულებს „ბაზისბანკმა“ პლანშეტები გადასცა. ოლიმპიადაში გაიმარჯვეს - გიგა ინაძემ, ლევან კერესელიძემ და ნანა კორბესაშვილმა. „ბაზისბანკის“ რჩეული კი გახდა დავით ბიბილეიშვილი.

- **პროგრამა „ლიდერთა სახლი“**

"ლიდერთა სახლის" მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მათთვის კულტურულ-შემოქმედებითი ინიციატივების განვითარება და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. პროგრამა საქართველოს 13 ქალაქში ხორციელდება.

- **„პროფესიული არჩევანი“ – (48 შეხვედრა) – 769 მონაწილე;**

„ლიდერთა სახლის“ მოსწავლეები ამ პროექტის ფარგლებში ხვდებიან როგორც პოლიტიკოსებს, ისე მედიისა და ხელოვნების სფეროს ცნობილ წარმომადგენლებს. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. საინტერესო დისკუსიების დასასრულს „ლიდერთა სახლის“ მოხალისეები სტუმართან ერთად სამახსოვრო ფოტოებს იღებენ.

საქართველოს 13 ქალაქში „ლიდერთა სახლის“ კოორდინატორები მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

- წიგნის კლუბი- (26 შეხვედრა) 422 მონაწილე;

- პროფესიული არჩევანი- (38 შეხვედრა) 769 მონაწილე;
- კინოკლუბი- (48 შეხვედრა) 664 მონაწილე;
- ტრენინგი „ბიზნესმეწარმეობა“- 161 მონაწილე;
- რა? სად? როდის? – 153 მონაწილე;
- სხვადასხვა ღონისძიებები (სპორტული აქტივობები, კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები) - 739 მონაწილე

„ორი თაობის“ წარმომადგენლები მოხუცთა პანსიონატში

ცენტრი აგრძელებს პროგრამას „ორი თაობა“, რომელიც გულისხმობს 14-18 წლის ახალგაზრდების მოხალისეობრივ ჩართულობას ხანდაზმულთა პანსიონატებში. მოზარდები დაეხმარებიან ხანდაზმულებს ყოველდღიურ საქმიანობაში, წაუკითხავენ გაზეთებს და დაეხმარებიან ეზოს კეთილმოწყობაში.

პროგრამა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, მეტი ყურადღების მიქცევას ხანდაზმულთა პანსიონატის ბინადრებისთვის, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მეორე მხრივ, არასრულწლოვნებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და იუსტიციის სახლის ერთობლივი პროექტი -"ერთი დღე იუსტიციის სახლის თანამშრომლად"

- **684 უნიკალური მონაწილე;**

პროგრამა ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას გარკვეული ტრენინგკურსის გავლის შემდეგ გახდნენ იუსტიციის სახლის „თანამშრომლები“ გარკვეული დროით და დაეხმარონ იუსტიციის სახლის თანამშრომლებს მოქალაქეების მიღებაში საჭიროების მიხედვით. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც ეცნობიან იუსტიციის სახლის მუშაობის სპეციფიკას.

„წერილები ჯარისკაცებს“

პროექტს „წერილები ჯარისკაცებს“ დანაშაულის პრევენციის ცენტრი თავდაცვის სამინისტროსთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სტუდენტებთან ერთად ახორციელებს. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ 9-11 წლის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც იმყოფებიან მე-4 და მე-5 კლასში, სხვა დამატებითი

საფუძვლები პროექტში ჩასართავად არ არსებობს. მოსწავლეები გზავნიან წერილებს ავღანეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებთან. პროექტი 2012 წელს დაიწყო და ყოველ ეტაპზე მონაწილეთა რაოდენობა იზრდება.

2014 წელს პროექტში მონაწილეობა მიიღო 2300-მა მოსწავლემ საქართველოს 13 ქალაქიდან

პროექტი ერთი მხრივ პატარებში პატრიოტულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას ავითარებს, მეორე მხრივ კი სამშვიდობო მისიებში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის დიდი მორალური მხარდაჭერაა. თითოეული წერილი სითბოთი, თანადგომითა და თანაგრძნობით იწერება.

„იმიტირებული პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის“

პროექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი და იუსტიციის სასწავლო ცენტრი ერთობლივად ახორციელებენ. იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობდნენ მოსწავლეები. ჩვეულებრივი სასამართლო პროცესის მსგავსად, პროცესზე იმყოფებოდა "ბრალდებული", "მოსამართლე", "პროკურორი", "დაცვის მხარე". იმიტირებულ პროცესზე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრული საქმე განიხილეს. „სხდომას“ დაესწრო და ყველა მონაწილე სერტიფიკატით დააჯილდოვა დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორმა ჯონი კვინიკაძემ. პროექტის მიზანია: მესამე და მეოთხე საფეხურის სკოლის მოსწავლეებისთვის ადვოკატირების, მოსამართლის, პროკურორის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება, სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამართლის დარგით და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

.....

დანაშაულის პრევენციაზე მიმართული კვლევებისა და სერვისების განვითარება

განახლდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მომსახურებების ბაზა, რომელშიც განთავსებულია მონაცემები იმ მომსახურებების შესახებ, რომლებსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები ცენტრის ბენეფიციარებს სთავაზობენ. დამატა 4 რეგიონის შესახებ მონაცემები (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, სამცხე ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სხვანეთი);

- შემუშავდა ბაზის განახლების 2014-2015 წლების გეგმა. განახლდა თბილისის, შიდა ქართლის, იმერეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონების მომსახურებები. იგეგმება ბაზის ტექნიკური ფუნქციების გაუმჯობესება.
- 2014 წელს დანაშაულის პრევენციის მიმართულებით დაიწყო კვლევის კომპონენტის განვითარება. იგეგმება კვლევის განხორციელება, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრივი ქმედების განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება. მუშავდება მეთოდოლოგია და კვლევის გეგმა. კვლევა განხორციელდება 2015 წელს (კვლევისა და სერვისების განვითარების სამმართველო).
- 2014 წლის მეორე კვარტალიდან დაიწყო მუშაობა დანაშაულის პრევენციის მეორე დონის მომსახურებების ბაზის შემუშავებაზე. მომზადდა საქართველოს მასშტაბით 200-მდე ახალგაზრდული ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია, ოქტომბერ-ნოემბრში თბილისის მასშტაბით დაახლოებით 50 ორგანიზაციასთან გაიმართა შეხვედრა და მათი საქმიანობის შესახებ ვრცელი მონაცემები ბაზაში აისახა.

.....

იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამა

ყოფილ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მიმართული საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი. „სოციალური უნარების განვითარების კურსი“ და „ფსიქოლოგიური ტრავმის მქონე ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია“. პროექტებით ჯამში 110-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

იუსტიციის სამინისტრომ 2014 წლის აგვისტოში საგრანტო კონკურსები – „კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვნების რესოციალიზაციის მხარდაჭერა“ და „ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა“ – გამოაცხადა. საგრანტო პროგრამების ინიციატორია სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“. 8 საგრანტო პროექტი ჯამში 107 ათასი ლარით დაფინანსდა.

ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა

იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსის ფარგლებში, „ყოფილი მსჯავრდებულების ბიზნესინიციატივების მხარდაჭერის“ პროექტის გამარჯვებულ 5 ყოფილ პატიმარს ბიზნესიდეა დაუფინანსდა. თითოეულ მათგანს 4 ათასი ლარი ერგო. გრანტები გაიცა შემდეგი მიმართულებებით: მესაქონლეობა; ვაჭრობა/სანაყინე; ხერხემლის რეაბილიტაციის სტაციონარი. ასევე, დაფინანსდა ფეხსაცმლის საამქრო და კომპიუტერული მომსახურების ოფისი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვნების რესოციალიზაციის მხარდაჭერის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2014 წლის დეკემბერში 7 პროექტი დაფინანსდა. მათგან 4 პროექტი ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში განხორციელდება, 3 კი თბილისში. პროექტების ხანგრძლივობა 6 თვიდან 1 წლამდეა გათვლილი. პროექტებში 300-მდე კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვანი ჩაერთვება.

.....

დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქველმოქმედო აქტივობები

დანაშაულის პრევენციის ცენტრი „საქართველოს სოლიდარობის ფონდს“ შეუერთდა

„საქართველოს სოლიდარობის ფონდი“ , საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის 9 ივნისს დაფუძნდა. ფონდის მიზანია, ფინანსური დახმარება გაუწიოს სოციალურად დაუცველ ან ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების გადაუდებელი საჭიროების მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი იმ უწყებათა შორისაა, რომელთაც საქველმოქმედო ფონდთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და მათი თანამშრომლები საქველმოქმედო მიზნებისათვის თანხებს ყოველთვიურად რიცხავენ. სოლიდარობის ფონდის გალა დაჯილდოებაზე, დანაშაულის პრევენციის ცენტრმა სპეციალური ჯილდო მიიღო თანამშრომელთა 100 პროცენტისა და მონაწილეობისათვის.

სისხლის დონაციის აქცია

დანაშაულის პრევენციის ცენტრის, იუსტიციის სახლისა და საჯარო რეესტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სისხლის დონაციის აქციაში. აქციის მიზანია მ. იაშვილის კლინიკის ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სისხლით დახმარება. სისხლის დონაციის აქცია დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და წითელი ჯვრის ორგანიზებით გაიმართა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის საჩუქარი პატარებს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის სახელით, დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მსჯავრდებული ქალბატონის მცირეწლოვან შვილებს საჩუქრები გადასცა. მარნეულის რაიონის სოფელ თაზაკენტს ცენტრის დირექტორი ჯონი კვინიკაძე თანამშრომლებთან ერთად ესტუმრა და პატარებს პერსონალური კომპიუტერი, ყველა საჭირო აღჭურვილობა და ერთწლიანი ინტერნეტის პაკეტი აჩუქა. ცენტრის თანამშრომლებმა პერსონალური კომპიუტერის შეძენა 10 ივნისს, მინი-ფეხბურთის ტურნირის („ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა“) ფინალური მატჩის მოგების შედეგად მიღებული საპრიზო თანხის საშუალებით შეძლეს (გუნდის წევრები არიან, როგორც ცენტრის თანამშრომლები, ასევე ყოფილი პატიმრები - რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარები).

საჩუქრები მოხუცთა პანსიონატში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის

დანაშაულის პრევენციის ცენტრმა თემქის ხანდაზმულთა პანსიონატის 84 მცხოვრებს საახალწლო საჩუქრები გადასცა. საჩუქრები ხანდაზმულთა სურვილების მიხედვით შეირჩა და მათი შეძენა ბაზისბანკის დახმარებით გახდა შესაძლებელი. ღონისძიებას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო;

სასაჩუქრე კალათა ყოფილი პატიმრებისთვის

ცენტრმა" 70 ყოფილი პატიმრის ოჯახს საახალწლო საჩუქარი მოუმზადა (თბილისში - 54, რეგიონებში - 16). საახალწლო ნობათში შესულია კომპანია „ნატახტარის“, საკონდიტრო საწარმო „სანდომის“, კომპანია „კამპას“, კომპანია „გოლდფრუტის“, საკონსერვო საწარმო „თიემთის“, შპს „ქალაქურის“, ქართული სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანიის, სადისტრიბუციო კომპანია „რატი და კომპანიის“, ასევე შპს "ალგეთის 2010"-ის პროდუქცია. კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის უსასყიდლოდ გაიღეს. ნობათები დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიაციის სახლში დარიგდა.

.....

თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან

იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილი მსჯავრდებულების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობას და გულისხმობს განათლების სამინისტროს მიერ პროფესიული გადამზადების ცენტრების მიზნობრივ დაფინანსებას. აღნიშნული კომპონენტი ხელს შეუწყობს ყოფილი პატიმრების დასაქმებას, რასაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რესოციალიზაციის პროცესში. გადამზადების პროცესში ყოფილი პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრებთან ერთად, ჩართულები არიან აგრეთვე, განრიდებული არასრულწლოვნები.

თბილისის მერია

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრსა და თბილისის მერიას შორის შედგა შეთანხმება, რის საფუძველზეც თბილისის მერიამ აიღო ვალდებულება, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით უფასო საქალაქო რეგულარული გადაყვანის უფლების დამადასტურებელი სახელობითი ბარათების დამზადება;

ამ უფლებით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა განისაზღვრა წელიწადში არაუმეტეს 500 პირისა;

ცენტრის უკვე არსებული ბენეფიციარებისთვის უფასო საქალაქო მზავრობის ბარათების დამზადება განხორციელდება 2015 წლის 1 იანვრიდან, ხოლო იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამაში 2015 წლის განმავლობაში ჩაერთვებიან, ცენტრის ბენეფიციარის სტატუსის ამოქმედების მომენტიდან.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგია დამტკიცებულია

ცენტრის აქტიური ძალისხმევით „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგია“ და მისი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. ორივე დოკუმენტი სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო. დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის პროექტის - „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით. სტრატეგიაზე ერთობლივად მუშაობდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

მათივე ერთობლივი მუშაობით შეიქმნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სრულწლოვან პირთათვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების სტანდარტი. სტანდარტში ასახულია ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ მომსახურების მიმწოდებლებმა.

ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ერთად, ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორია საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF). მათი წვლილი განსაკუთრებით დიდია არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარებაში;

თანამშრომლობა მშვიდობის კორპუსთან

24 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორმა ჯონი კვინიკაძემ და მშვიდობის კორპუსის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა მორა ფულტონმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ დანაშაულის პირველი დონის პრევენციის პროგრამების განხორციელებასა და მოხალისეობრივი კულტურის განვითარებაზე. მემორანდუმის ფარგლებში დანაშაულის პრევენციის ცენტრში მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის ამერიკელი მოხალისე, სარა იანგი 6 თვით იმყოფება.

ამერიკელი მოხალისე სარა იანგი დანაშაულის პრევენციის ცენტრში

სარა იანგი: „The Center's programs seek to address direct needs of the citizens of Georgia and to benefit Georgian society as a whole. The work is innovative, important and necessary at this pivotal time in Georgia's history.

„დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ მიმდინარე პროგრამები მიმართულია როგორც თითოეული მოქალაქის, ისე ქართული საზოგადოების საჭიროებებზე. საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, ცენტრის მუშაობა ინოვაციური, აუცილებელი და სასარგებლოა.“

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP) წევრი გახდა, რაც ცენტრს საშუალებას მისცემს, რომ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის სფეროში არსებული ევროპული გამოცდილებას სრულად გაეცნოს და საკუთარ ბაზაზე ინოვაციური და ეფექტური მეთოდები დანერგოს;

„ერთად ვიზრუნოთ ყოფილ პატიმარზე“ - შეხვედრა ბიზნესთან

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო ბიზნესის ინფორმირება "ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის" შესახებ. ღონისძიებაზე, რომელიც უფრო სოლიდარული და უფრო დაცული საზოგადოების საკითხს შეეხებოდა, ასევე გაიმართა სოციალური კლიპის - "ერთად ვიზრუნოთ ყოფილ პატიმარზე" – პრეზენტაცია.

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვეთ დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობაში

- საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია
- კურორტი „საირმე“
- ბაზისბანკი
- კომპანია GeoCo

.....

პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მომსახურებას უწევენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარებს

1. წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი GCRT;
2. წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია";
3. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“;
4. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა";
5. დემოკრატიის ინსტიტუტი;
6. თანადგომა;
7. ახალი ვექტორი;
8. ქალი და ბიზნესი;
9. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
10. ადამიანის უფლებათა ცენტრი;
11. იურდიული კომპანია „ამირხანაშვილი და კომპანია“;
12. აფხაზინტერკონტი;
13. ა(ა)იპ მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის;

პარტნიორი სახელმწიფო დაწესებულებები

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
2. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო;
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
5. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
6. ქალაქ თბილისის მერია;
7. ქალაქ ბათუმის მერია;

პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები

1. ევროკავშირის მისია საქართველოში;
2. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“;
3. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში (UNICEF);
4. პროექტი „ჰარმონია“;
5. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში;

6. მშვიდობის კორპუსი
7. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
8. ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი

.....